



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 230

ქალაქი ქუთაისი 30 დეკემბერი 2015 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“ დირექტორის 25.11.2015 წლის N13306/01 მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკისათვის“ /ს/კ212899443/, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წინამდებარე განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონების, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. ქონებით სარგებლობის ვადა განისაზღვროს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“ /ს/კ 212899443/ არსებობის ვადით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის
ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკისათვის“ გადასაცემი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ქონების ჩამონათვალი

N	მისამართი	შენობის ფართობი კვ.მ.	მიწის ფართობი კვ.მ.	საკადასტრო კოდის N
1	გუგუნავას ქუჩა N15-3	213.30	2231.65 თანასაკუთრება	03.05.01.215.01.502
2	სინაურის ქუჩა N40	89.46	544.0	03.04.05.548
3	ნ.დუმბაძის ქუჩა (ყოფილი ნინოშვილის ქუჩა) N2/გრიშაშვილის ქუჩა N37	175.08	1542.0 თანასაკუთრება	03.04.03.084.01.500
4	ა.წერეთლის ქუჩა N101/დავით აღმაშენებლის გამზირი N3-5	183.60	2191.0 თანასაკუთრება	03.06.01.006.01.505
5	დავით აღმაშენებლის გამზირი N24	95.33	1342.0 თანასაკუთრება	03.04.03.014
6	თაბუკაშვილის ქუჩა N197 (ყოფილი თაბუკაშვილის ქუჩა N25)	154.0	472.0 თანასაკუთრება	03.05.01.052
7	ნიკვას ქუჩა N64	92.43	984.0 თანასაკუთრება	03.05.02.060.01.500
8	ი.ჭავჭავაძის გამზირი N15	133.16	950 თანასაკუთრება	03.04.07.040.01.500
9	ბუხაიძის ქუჩის მე-2 შესახვევი N3	207.56	567.0 თანასაკუთრება	03.01.02.035
10	ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N8ა	147.96	1183.0 თანასაკუთრება	03.01.03.347
11	კრილოვის ქუჩა N1/ავალიანის ქუჩა N16 შენობის ნაწილი	123.31	3280.0	03.02.04.111
12	ჯიქიას ქუჩის N6 /ყოფილი ახალგაზრდობის გამზირის მე-5 შესახვევი N6/	129.26	19148 თანასაკუთრება	03.06.03.210

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი